

25.04.2012

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 25 საბაზისო პუნქტით 6.25 პროცენტამდე ამცირებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2012 წლის 25 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით შემცირების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 6.25 პროცენტს შეადგენს.

ეკონომიკური აქტივობის ინდიკატორები წლის პირველ კვარტალში მაღალ ზრდაზე მიუთითებს. მაღალი ზრდის მიუხედავად პოტენციური დონიდან გადახრა ნულის ტოლია, რაც მოთხოვნის მხრიდან ინფლაციური ზეწოლის არარსებობაზე მიუთითებს.

მარტში ფასების წლიურმა ცვლილებამ -2.2 პროცენტი შეადგინა. ინფლაციის უარყოფითი მაჩვენებელი უმთავრესად საბაზო ეფექტით არის განპირობებული. მიუხედავად სამომხმარებლო კალათის ინდექსის ვოლატილობისა, საშუალოვადიან პერიოდში ფასები სტაბილურია. კერძოდ, ბოლო წლების განმავლობაში სტაბილურია და დაბალია საბაზო ინფლაცია (სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით), რომელიც 2 პროცენტს უტოლდება.

კომიტეტის წინა სხდომის შემდეგ ინფლაციის პროგნოზი არ შეცვლილა. არსებული პროგნოზები პოლიტიკის უცვლელობის პირობებში წლის განმავლობაში დაბალ ინფლაციაზე და მომავალი წლის დასაწყისში ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებლამდე ზრდაზე მიუთითებს.

წლის დასაწყისიდან საბანკო სისტემა ჭარბი ლიკვიდობის პირობებში ოპერირებდა. შედეგად მოკლევადიან ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთები შემცირდა და დაშორდა პოლიტიკის განაკვეთს, რასაც უფრო გრძელვადიანი განაკვეთების შემცირებაც მოყვა. საპროცენტო განაკვეთების აღიშნული შემცირება ფაქტობრივად პოლიტიკის შერბილების ტოლფასია. ბოლო კვირების განმავლობაში შემცირდა ლიკვიდობის სიჭარბე საბანკო სისტემაში, რასაც შედეგად მოჰყვება ბანკთაშორის ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა, რაც დღევანდელ პირობებში ეკონომიკისთვის არასასურველი იქნება, შესაბამისად მიზანშეწონილია პოლიტიკის განაკვეთის შემცირება.

ამასთან, საბანკო სისტემაში ჭარბი ლიკვიდობის დაგროვებამ გაზარდა ბანკთაშორის ფულად ბაზარზე საპროცენტო განაკვეთების მერყეობა. საპროცენტო განაკვეთების მერყეობის შესამცირებლად და მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის ზრდისათვის ეროვნული ბანკი განიხილავს მის ხელთ არსებული მთავრობის ფასიანი ქაღალდების რეალიზაციის შესაძლებლობას ფულად ბაზარზე ჭარბი ლიკვიდობის სტერილიზაციისათვის.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2012 წლის 23 მაისს გაიმართება.